ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №12

(გამარტივებული შესყიდვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N45 განკარგულების, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე)

ქ.თბილისი

20 იანვარი 2014 წელი

ერთი მხრივ, **შპს „ავიასერვისი" (ს/კ 205040098),** წარმოდგენილი მისი დირექტორის ალეკო ტყემალაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), და მეორე მხრივ, მეორე მხრივ, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" **(ს/კ20500910),** წარმოდგენილი მისი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის სოფიო ტურიაშვილის სახით(შემდგომში - შემსყიდველი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულების 1.2. პუნქტში გათვალისწინებული მომსახურება (შემდგომში - მომსახურება), ხოლო შემსყიდველი ვალდებულია სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვის ღონისძიებების" ასიგნებების ფარგლებში გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

1.2. **მიმწოდებელი ვალდებული განახორციელოს:**

ა) შემსყიდველის საკუთრებაში არსებული АН-28 (N1АИ007-25 (ბორტი N6) თვითმფრინავის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;

ბ) შემსყიდველის საკუთრებაში არსებული АН-28 (N1АИ007-25 (ბორტი N6) თვითმფრინავის ფრენისთვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შესაძლებლობის დადგენა;

გ) შემსყიდველის საკუთრებაში არსებული АН-28 (N1АИ007-25 (ბორტი N6) თვითმფრინავის ფრენისთვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შესაძლებლობის შემთხვევაში ფრენისთვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანის ხარჯების განსაზღვრა (CPV:63730000).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

2.1.2. პირადად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

2.1.3. შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2014 წლის 12 თებერვლის ჩათვლით.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირობის თანახმად.

2.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის ქონების მართვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს ოთარ ვახტანგიშვილს.

3. ანაზღაურების განსაზღვრისა და გადახდის წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 6000 (ექვსი ათასი) ევროს დღგ-ს ჩათვლით გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ლარის კურსით.

3.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს აუნაზღაუროს ნებისმიერი სახის ზიანი.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა არ არის გამოწვეული შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით მომსახურების ღირებულების 0,1%-ს ყოველ დაგვიანებულ დღეზე.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, თუ ეს დაგვიანება გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით, შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით მომსახურების ღირებულების 0,1%-ს ყოველ დაგვიანებულ დღეზე.

4.4. მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.5. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისგან.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება ფორს-მაჟორით.

5.2. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექნოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებობას.

5.3 ფორს-მაჟორის სტაბილური გამოვლენისთანავე, მხარე, რომელიც დადგა ასეთი გარემოებების პირისპირ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს. ასეთი შეტყობინება დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

5.4. მხარე ვალდებულია, ასევე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორის მოქმედების ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ.

5.5. "5.3" და "5.4" პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები კარგავენ უფლებას მიუთითონ ფორს-მაჟორზე.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორი გრძელდება 2 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულება ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების გარეშე.

5.7. ფორს-მაჟორი მიიღება მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიქმნა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საფუძვლიანად იქნება დადასტურებული ასეთი გარემოებების გავლენა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6. დავების გადაჭრის წესი

6.1. დავები და უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულებისას, გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 13 მარტის ჩათვლით.

9. მხარეთა მისამართები

შემსრულებელი:
შპს *„ავიასერვისი“*
ს/კ **205040098**
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N39ა
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ბანკი ქართუ“
ბ/კ CRTUGE22
ა/ნ GE72CR0000000000203607

დირექტორი:

/ა. ტყემალაძე/

შემკვეთი:
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“
ს/კ **205005910**
ქ. თბილისი, ჭანტურიას 12
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ნ 200122900

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი

/ს. ტურიაშვილი/

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№45 2014 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მომსახურების შესყიდვის შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული АН-28 ტიპის N1АИ007-25 (ბორტი N6) თვითმფრინავის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და მისი ფრენისათვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შესაძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი ხარჯების განსაზღვრასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

2. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული АН-28 ტიპის N1АИ007-25 (ბორტი N6) თვითმფრინავის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და მისი

ფრენისათვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შესაძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი ხარჯების განსაზღვრასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლით გათვალისწინებული პროგრამის „ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა“ (პროგრამული კოდი 24 01) ქვეპროგრამით „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვის ღონისძიებები“ - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (სახაზინო კოდი 24 01 02 03) გათვალისწინებული ასიგნებიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი